

მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები ამერიკელი პრეზიდენტების საინაუგურაციო
დისკურსის ქართულად თარგმნის პროცესში

(დონალდ ტრამპის,ჯორჯ ბუშისა და ბარაკ ობამას საინაუგურაციო სიტყვებზე
დაყრდნობით)

მარიამ შილდელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამოყენებითი უცხო ენებისა და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკის
ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი სიბილა გელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ შილდელაშვილი

2018 წლის 22 ივნისი

აბსტრაქტი

პოლიტიკა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. დღესდღეობით, სრულიად აპოლიტიკური ადამიანიც კი ვერსად გაექცევა იმ პოლიტიზირებულ გარემოს, რომელიც არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში სუფევს. პოლიტიკისადმი მზარდი ინტერესის პირობებში, განსაკუთრებული ყურადღება პოლიტიკურ დისკურსს და მისი ერთი ენიდან მეორე ენაზე ინტერპრეტაციის თავისებურებებს ეთმობა.

მოცემული ნაშრომის მიზანია განვსაზღვროთ პოლიტიკური დისკურსის, კერძოდ კი, საინაუგურაციო დისკურსის ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნის მახასიათებლები და გამოვყოთ ის მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები, რომლებიც ზემოხსენებული მთარგმნელობითი პროცესისთვისაა დამახასიათებელი.

საკვლევ ობიექტად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების: ჯორჯ ბუშის, ბარაკ ობამასა და დონალდ ტრამპის საინაუგურაციო სიტყვებია აღებული. კვლევის პროცესში ჩვენ შერჩევითობის პრინციპით ავარჩიეთ ათ-ათი ფრაზა ყოველი საინაუგურაციო დისკურსიდან და განვიხილეთ, თუ რა მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების გამოყენება გახდა საჭირო თარგმნის პროცესში.

თვისებრივი კვლევის ჩატარების შედეგად მიღებული მონაცემები ჩვენ რაოდენობრივი თვალსაზრისით შევაფასეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ საინაუგურაციო დისკურსის ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ამ ორ ენაში წინადადების აგების წესებს შორის არსებულ განსხვავებებს უნდა დავუთმოთ. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოყენებადობის მიხედვით მოწინავე ადგილები სწორედ ამ გარემოებით განპირობებულმა მთარგმნელობითმა ტრანსფორმაციებმა, კერძოდ კი, გადაადგილებისა და შეცვლის ხერხებმა დაიკავა.

Abstract

Politics is an integral part of our lives. Nowadays, even an apolitical person can not escape a highly politicized environment that can be felt not only in our country, but all over the world. In terms of growing interest in politics, special attention is paid to political discourse and the peculiarities of its interpretation from one language to another.

The purpose of this paper is to describe the changes accumulating during the translation process of the political discourse, namely inaugural discourse, from English to Georgian and to define which translation transformations are characteristic for the abovementioned process.

The subject matter of the research were the inaugural addresses of the following presidents of the United States of America: George Bush, Barack Obama, and Donald Trump. In the research process we selected 10 phrases from each of the inaugural addresses and analysed which translation transformations were used during the interpretation of the inaugural address from one language to another.

We evaluated the data received from qualitative research in quantitative terms and came to the conclusion that a translator should pay a special attention to the differences characteristic for the structures of the sentences in Georgian and English languages. Within the scope of our research, the most frequently used translation transformations (the means of restructuring and change) flowed from the aforementioned peculiarity and were the same for all three discourses.